თ ა ვ ფ უ რ ც ე ლ ი:

ახალი სკოლის მოდელი

სკოლის დასახელება - სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისი

პროექტის სათაური- კულტურული მრავალფეროვნება/ ერთიანობა მრვალფეროვნებაშია.

დევიზი: „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა,გვაქვს უთვალავი ფერითა“.

საკითხი/ქვესაკითხი: ეთნიკურად მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში/მრავალფეროვანი გარემო და ურთიერთობები

ესგ-ის პრიორიტეტული თემა: კულტურული მრავალფეროვნება, ადამიანის უფლებები;

ინტეგრირება ყველა საგნობრივ დისციპლინებთან:

განხორციელების ვადები - 2023 წლის სექტემბერი- 2024 წლის 25 ივნისი

პროექტის კავშირი **ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან/ზოგადი განათლების შესახებ კანონთან** -

განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს. მოზარდმა უნდა შეძლოს: ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება, ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა, ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება, ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი, იყოს შემოქმედი,

თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე, შეძლოს კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან და იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე.

პროექტის ხელმძღვანელი: თეა სამხარაძე

პროექტის განმახორციელებელი გუნდი- კათედრის თავმჯდომარეები;

პროექტის საერთო ბიუჯეტი (თანხა) -120 ლარი

I.პრობლემის დასაბუთება

ვერ ვისაუბრებთ კულტურათაშორის ურთიერთობებზე, თუ მის მნიშვნელობას კარგად არ გავიაზრებთ, რადგან მას მრავალი მნიშვნელობა აქვს, რაც თვით კულტურის ფენომენის სირთულითა და მრავალფეროვნებითაა განპირობებული. კულტურა სოციალიზაციის პროცესში შექმნილი და შეძენილი ნორმების ერთობლიობაა, იგი საზოგადოების მიერ აღიარებული ნორმებისა და ღირებულებების სისტემაა, ანუ სოციალური ურთიერთქმედების პროდუქტია, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ურთიერთქმედებათა სახეების განმსაზღვრელი პირობაა.

ერთი სიტყვით, კულტურა არის ის ღირებულებები, შეხედულებები, ქცევის ნორმები და მატერიალური საგნები, რომლებიც ადამიანის ცხოვრების წესის ფორმირებას ახდენენ. ამიტომ კულტურათა წარმოშობასა და განვითარებაზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს. რამდენადაც რთულია ახსნა კულტურათა მახასიათებლების წარმოშობის მიზეზები, ასევე რთულია ისაუბრო განსხვავებულ კულტურათა ურთიერთობებზე.

კულტურათაშორისი ურთიერთობის პრობლემები: ხშირად ამბობენ: რამდენი ადამიანიცაა, იმდენი აზრი არსებობს. მეტიც, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ რამდენი კულტურაცაა, იმდენი განსხვავებული ახსნა ან შეფასება შეიძლება ჰქონდეს ერთსა და იმავე ფაქტს, მოვლენას, სიტუაციას, ჟესტსა თუ მიმიკას. სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები განვსხვავდებით არა მხოლოდ იმით, რაც თვალსაჩინოა (ენა, სამოსი, სამზარეულო და ა.შ.), არამედ იმითაც, თუ რას ვფიქრობთ, როგორ აღვიქვამთ და რას ვგრძნობთ. სწორედ აღნიშნული ხდება ხშირ შემთხვევაში კულტურული თავისებურებების საფუძველზე აღმოცენებული დავებისა და კონფლიქტების უმთავრესი მიზეზი.

მრავალი საუკუნის განმავლობაში სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები ქედმაღლურად უყურებდნენ და არასრულფასოვნად მიიჩნევდნენ ერთმანეთს განსხვავებული ენის, რელიგიის, ტრადიციების, ჩაცმულობის, კანის ფერისა და სხვა მახასიათებელთა გამო. კულტურული ურთიერთქმედების შედეგები უმნიშვნელოვანესია საზოგადოების განვითარებისა და გაძლიერებისთვის; კერძოდ, დავფიქრდეთ იმაზე, თუ სოციუმის წევრებისთვის რა საერთო ინტერესები/პრობლემები და საზრუნავი გვაერთიანებს; ასევე, დემოკრატიული პროცესების მდგრადობაზე, კერძოდ, დემოკრატიული საზოგადოებისთვის; თანასწორობის პრინციპის სასიცოცხლო მნიშვნელობაზე;

გავაანალიზოთ ის შესაძლო პრობლემები, რაც სახელმწიფოში/საზოგადოებაში იარსებებდა, თანასწორობა რომ არ ყოფილიყო; უდავოა, რომ ამ ყველაფრის მისაღწევად ჩვენ გვჭირდება აქტიური საზოგადოება, სამოქალაქო მონაწილეობა და მისი სამართლებრივი ფორმები, რომელიც სწორედ საზოგადოებრივ საჭიროებებზე/ქვეყანაზე ზრუნვის ერთერთი მამოძრავებელი საშუალებაა; და, ბოლოს, გვჭირდება მდგრადი განვითარების მიზნებზე ორიენტირებული ლოკალური ქმედებები, რომელიც გარანტი გახდება მშვიდობის, სამართლიანობის და ძლიერი ინsტიტუციების.

ეთნოცენტრიზმი _ საკუთარი ეთნიკური ჯგუფისა და კულტურის აღმატებულობის რწმენა სხვა ჯგუფებთან შედარებით. ეთნოცენტრისტულად განწყობილ ინდივიდს სჯერა საკუთარი უპირატესობა სხვა ინდივიდებთან შედარებით მხოლოდ იმაზე დაყრდნობით, რომ საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის უპირატესობაშია დარწმუნებული. ადამიანებს სჯერათ, რომ სწორედ მათ კულტურაში არსებული რწმენაწარმოდგენები, შეხედულებები, ზნეჩვეულებები არის მართებული და ზნეობრივი. ამიტომ განსხვავებული ფასეულობანი აღიქმება როგორც უცნაური, ნაკლებზნეობრივი, ჩამორჩენილი და ველურიც კი.

კულტურული კონფლიქტი _ კულტურული კონფლიქტი არის კონფლიქტის ტიპი, რომელიც მაშინ ხდება, როცა ერთმანეთს ხვდება განსხვავებული კულტურული ღირებულებები და რწმენები. კულტურული კონფლიქტი დაკავშირებულია კულტურულ იდენტობასთან. ზოგჯერ კულტურული და ეთნიკური იდენტობა პრობლემური ხდება. ინდივიდებმა შეიძლება აირჩიონ, რომ ჩაებღაუჭონ თავის ორიგინალურ იდენტობას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დაძაბულობა ახალ საზოგადოებასთან.

კულტურული მრავალსახეობა თანამედროვე ცხოვრების რეალობაა. ამ საკითხის პრობლემურობის ხარისხი სხვადასხვა ქვეყნისთვის განსხვავებულია. ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, საქართველო მuლტიკულტურული ურთიერთობების კარგი მაგალითია, რადგან მრავალფეროვნება,რელიგიური, ეთნიკური, კულტურული ნიშნით ჩვენთვის სიახლეს არ წარმოადგენს. ამასთან, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა, კონკრეტულად, კონფლიქტებმა გაზარდა მიგრანტთა რიცხვი და საქართველოც მასპინძლობს კონფლიქტის ზონიდან მიგრანტთა ნაკადებს.

სკოლის მიზანია მოამზადოს მოსწავლე მულტიკულტურულ გარემოში ინტერკულტურული დიალოგისთვის _ ანუ იყოს აქტიური, იცოდეს სამართლებრივი მექანიზმები, ამოიცნოს დარღვევები, დაიცვას და იყოს დაცული, იბრძოლოს საზოგადოებაში თანასწორობის, როგორც დემოკრატიის მთავარი პრინციპის აღიარებისა და დამკვიდრებისთვის. სკოლა არის ის ადგილი, სადაც მოსწავლეებს ჩამოუყალიბდებათ კომპეტენციები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სოციუმში მათ დამკვიდრებას.

მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტიპის უთანასწორობის მიზეზების ამოცნობა და ანალიზი, შეუძლია დაგეგმოს, დანერგოს და შეაფასოს უთანასწორობის შემცირების სტრატეგიები.

მულტიკულტურული გარემო არის თანამედროვე სამყაროს გამოწვევა, რომელიც სწრაფ ცვლილებებს განიცდის, და სადაც კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარდატეხები ცხოვრების ტრადიციული წესის ერთგვარი გამოწვევა ხდება. განათლებამ მთავარი როლი უნდა შეასრულოს სოციალური ერთობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების ხელშესაწყობად. იმ პროგრამების საშუალებით, რომლებიც წაახალისებს განსხვავებული კულტურის, რწმენისა და რელიგიის მქონე ადამიანთა შორის დიალოგს, განათლებას შესწევს ძალა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მდგრადი და ტოლერანტული საზოგადოებების განვითარებაში. ინტერკულტურული განათლება ერთგვარი პასუხია ყველა ადამიანისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის გამოწვევაზე, რომელიც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაშია მოცემული: **„განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა, ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გადიდებისაკენ“.** განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის მეგობრობას და ხელი უნდა შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად;

II.პროექტის მიზანი და ამოცანები(რეალისტური, გაზომვადი, დროში მიღწევადი)

მოსწავლეები გაიაზრებენ მულტიკულტურულ გარემოში ცხოვრების გამოწვევებს, გააცნობიერებენ მულტიკულტურულ გარემოში თანასწორუფლებიანობისა და ადამიანური ღირსების აღიარების მნიშვნელობას მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის.

პროექტის ამოცანებია:
სკოლის სტრუქტურული ერთეულების, თემისა და გარე სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობების/თანამშრომლობის გაძლიერება ფორმალური და არაფორმალური განათლების მხარდაჭერის მიზნით.
- **N 1 ამოცანა:** მოსწავლეებში კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური განწყობების ჩამოყალიბება;

აქტივობა 1.1. სასკოლო კვლევა;

სამიზნე ჯგუფი: საბაზო, საშუალო საფეხურის მოსწავლეები, აგრეთვე -პედაგოგები, მშობლები, თემის მოსახლეობა;.

კვლევის კითხვარის შემუშავება და კვლევა თემაზე: რამდენად ტოლერანტი ვარ?

კვლევის კითხვარი:

• რას ნიშნავს მრავალფეროვანი გარემო?

• რა უნარები და თვისებები გჭირდება მრავალფეროვან გარემოში ადამიანებთან ურთიერთობებისთვის?

• თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებების საყოველთაოდ აღიარებას?

• როგორ უზრუნველყოფს თემში არსებული დაწერილი და დაუწერელი წესების თანაარსებობა ადამიანის უფლებების დაცვას?

• რა და როგორ აყალიბებს თემში არსებულ ჯგუფებს ერთიან საზოგადოებად?

• როგორ თანაცხოვრობენ თემში განსხვავებული შეხედულებების, ინტერესებისა და ღირებულებების მქონე ადამიანები?

• როგორ უნდა ვითანამშრომლო ჩვენს თემში მცხოვრებ განსხვავებული შეხედულებების/ შესაძლებლობების/ წარმოშობის ადამიანებთან?

• რა დადებითი და უარყოფითი გავლენა აქვს კულტურულ, ეთნიკურ და რელიგიურ მრავალფეროვნებას ქვეყნის განვითარებაზე?

• რა გავლენას ახდენს ადამიანთა თანაცხოვრებაზე საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა სტერეოტიპი?

აქტივობა 1.2. კვლევის შედეგების მიმოხილვა პანელური დისკუსიით სასკოლო საზოგადოებასთან

• პანელური დისკუსია-ინსტრუქცია _ https://bit.ly/3Q75Ai4

აქტივობა 1.3. ,,გაცოცხლებული ამბები წარსულიდან“

მოსწავლეები მოიძიებენ სამეზობლოში, თემში, ქალაქში, სოფელში საინტერესო ისტორიებს განსხვავებული კულტურისა და ეროვნების ადამიანების თანაცხოვრების შესახებ. ამბებს ასახავენ თემატურ პოსტერებში და მოაწყობენ სკოლაში გამოფენას, ასევე შესაძლებელია მოიწვიონ სტუმრად ისტორიების გმირები ;

აქტივობა 1.4. „მრავალფეროვნების ზეიმი“

_ მოსწავლეები მოიძიებენ მასალებს მსოფლიოში არსებული სხვადასხვა კულტურის შესახებ, იქნება ეს მწერლობა, მუსიკა, სახვითი ხელოვნება თუ სხვა. ბავშვებს შესაძლებლობა ექნებათ შეადარონ ერთმანეთს სხვადასხვა კულტურა და აღმოაჩინონ მსგავსებები და განსხვავებები .

N2 ამოცანა: სამართლებრივი დოკუმენტების დამუშავება და ანალიზი;

აქტივობა 2.1. სამართლებრივ დოკუმენტებზე მუშაობა;

მუშაობა დოკუმენტებზე: საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებების დეკლარაცია, ბავშვთა უფლებების კონვენცია, რეფერირების დოკუმენტი; ტოლერანტობის საერთაშორისო დღე _ 16 ნოემბერი.

• ტოლერანტობის საერთაშორისო დღე საქართველოში - მიზნები და გამოწვევები _ https://bit.ly/3vPTmSJ

• კონვენცია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისa და ხელშეწყობის შესახებ- https://bit.ly/3JH3J14

მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად, ინაწილებენ დოკუმენტებს, ამზადებენ პრეზენტაციებს მოცემული დოკუმენტების მიხედვით, **თემაზე: „ადამიანის უფლებები და ტოლერანტული გარემო“.**

N3 ამოცანა: საკუთარი როლისა და შესაძლებლობების გაანალიზება/შეფასება მშვიდობიანი და სამართლიანი სასკოლო და სათემო გარემოს უზრუნველსაყოფად ;

აქტივობა 3.1. საუბარი სტუმართან, სკოლის ფსიქოლოგთან ;

თემა: თანაცხოვრება მულტიკულტურულ გარემოში;

მოწვეული სტუმარი მოსწავლეებს გააცნობს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელების თანაცხოვრების მაგალითებს, აჩვენებს ვიდეორგოლებს, დოკუმენტურ ფილმებს ქართული რეალობიდან და წარმართავს მსჯელობა/დისკუსიას. https://bit.ly/3p0nWoT

აქტივობა 3.2. კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენა, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა;

(ნახატების მომზადება და პრეზენტაცია)

რესურსი: https://bit.ly/3Syv21u ნახატების შექმნა და გამოფენის მოწყობა სკოლის დერეფანში კულტურული მრავალფეროვნების თემაზე. მოხდება ფოტო-ისტორიების გაცნობა და საპრეზენტაციო ფლაერების ან პოსტერების დამზადება. მოსწავლეები საერთაშორისო პროექტებსი თანამშრომლობენ სვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან; აწყობენ პრეზენტაციებს სკოლის დერეფნებში / ისტორიები ეხება ეთნიკურ, რელიგიურ და მრავალფეროვნების სხვა სახეებს საქართველოში/ _ https://bit.ly/3Qas3KZ

აქტივობა 3.3: ტოლერნატობის საერთაშორისო დღე

სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მოეწყობა პრესკონფერენცია პროექტის სამიზნე ჯგუფის მონაწილეობით, თემა - **„განათლება და კულტურული სენსიტივობა“** ,

შეხვედრის მიზანი იქნება:

• მუშაობა ანალიზისა და სწორი შეფასებითი დამოკიდებულებების, პრობლემისადმი მართებული მიდგომებისა და სწორი სო ციალური უნარჩვევების გამომუშავებაზე;

• თანამშრომლობის, ემპათიის, მრავალფეროვნების ცნებების სიღრმისეულად გააზრება;

• სამართლიანობის გრძნობის გაღვივება;

• სამართლიანი მიდგომების გამომუშავებაზე ფიქრი;

• სწორი სამოქალაქო პოზიციის ჩამოყალიბება.

N4 ამოცანა: სასკოლო და ადგილობრივ თემში მულტიკულტურული გარემოს გასაძლიერებლად საკუთარი როლის განსაზღვრა ;

აქტივობა 4.1. ინტეგრირებული აქტივობა - ისტორია, ქართული ენა და ლიტერატურა;

ტოლერანტობა ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში/ პუბლიცისტური წერილების დამუშავება და სარეკომენდაციო ბარათების შექმნა სასკოლო საზოგადოებაში კულტურათაშორისი ურთიერთობების პოპულარიზებისთვის.

აქტივობა 4.2. 3-წუთიანი ვიდეორგოლების ჩაწერა თემაზე „მრავალფეროვნება ჩემს თემში“ ;

მოსწავლეები იკვლევენ სხვადასხვა კულტურის ადამიანების თანაცხოვრების მაგალითებს საკუთარ თემში, ჩაიწერენ ინტერვიუებს, რომლებსაც გამოიყენებენ ვიდეორგოლებში, ატვირთავენ ბლოგზე/სკოლის გვერდზე.

აქტივობა 4.3 გასტრო-ტური/ექსკურსია/უცხოელებთან ინტერვიუ

დაიგეგმება და განხორციელდება მშობელთა ჩართულობით, ეთნიკური სამზარეულოს/კერძების დამზადება და დეგუსტაცია.

მოსწავლეები აღმოაჩენენ თითოეული ეთნოსის ტრადიციულ კერძებს, დამზადების ტექნოლოგიებსა და კულტურული თავისებურებების გამოხატულებას.მოეწყობა ექსკურსია და ჩატარდება კვლევა უცხოელებთან;

პროექტის ფარგლებში შექმნილი პროდუქტები: ნახატები; ფორუმთეატრი; ფოტოისტორიები; ვიდეორგოლები;

გამოყენებული რესურსები:

- მულტიკულტურალიზმის კონცეფცია და კულტურული მრავალფეროვნების იდეის განხორციელება საქართველოში _ https://bit.ly/3p80zJW
- ინტერკულტურული განათლება _ https://bit.ly/3vMJUiO

III. სამიზნე ჯგუფები (ვისი პრობლემის მოგვარებას ცდილობთ და ვინ შეიძლება მიიღოს კიდევ სარგებელი)

პროექტის ბენეფიციარები არიან სკოლის მოსწავლეები.

დაინტერესებულმა მხარემ (სასკოლო საზოგადეობა: მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები; თემი; არასამთავრობო ორგანიზაციები) გუნდთან ერთად დაგეგმეს აქტივობები და მოგვაწოდეს იდეები მისი განხორციელების გზების შესახებ.

მდგრადობა და მომავლის გეგმები: ტოლერნატობის საერთაშორისო დღე , პრესკონფერენცია თემაზე: ,,განათლება და კულტურული სენსიტივობა", სკოლაში ნახატების გამოფენა და მრავალფეროვნების ზეიმი იქცევა ტრადიციად და განხორციელდება სისტემატიურად;

პროექტის მოსალოდნელი შედეგი: მოსწავლეები გაეცნობიან კონვენციას კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვის და ხელშეწყობის შესახებ. გაიაზრებენ კულტურულად მრავალფეროვან გარემოში ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობას. მშობლებთან ერთად თემში და სკოლაში დაგეგმავენ და განახორციელებენ მრავალფეროვნების წარმოსაჩენად ღონისძიებებს.

IV. რისკების ანალიზი (საჭიროებისამებრ, ჩაამატეთ დამატებითი მწკრივები).

რისკები		**ალბათობა***	**რისკის შემცირების სტრატეგია**
შიდა	სასკოლო საზოგადოების ინდეფერენტული დამოკიდებულება	დაბალი	შეხვედრები, საუბრები, მოტივაციის ამაღლება პროექტის სარგებლის ეფექტიანობა. წარმატებული სკოლის პრაქტიკის გაზიარება,
გარე	კანონმდებლობის ცოდნის/გააზრების დონე	დაბალი	საზოგადოების ინფორმირება

V. სამოქმედო გეგმა

ამოცანები	**აქტივობა(საქმიანობა / მოქმედება)**	**ვადები**	**დადასტურება (ფოტო, ვიდეო, ანგარიში,**	**პასუხისმგებელი პირი**	**შენიშვნა**

			რეფლექსიის დოკუმენტი და სხვ.)		
N1 ამოცანა: მოსწავლეებში კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური განწყობების ჩამოყალიბება	შეიქნა პროექტის მართვის ჯგუფი, რომელმაც სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შეიმუშავა სამოქმედო გეგმა.	09.2023	https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid02ebYvhk7mb44at3538ZR6deYyApB81FTFzdo5QTm7chRLuY2uRBJVGNurwqLnwNRrl&id=100006331125285&__cft__[0]=AZUps_ya0ZiGNnchAGn3nzLYUEFmiNqBEIZJFQeZ1FADCZeQt3V--sPNGiv0W4hv1O6BiHQQr7-uZWbOnwPzm3F_n2Sg3jxIGhqE5j1yXRuqS0iDMEbkt2KM6z2YZr6PvfE&__tn__=%2CP-R	პროექტის მართვის ჯგუფი	
	აქტივობა 1.1. სასკოლო კვლევა; აქტივობა 1.2. კვლევის შედეგების მიმოხილვა პანელური დისკუსიით სასკოლო საზოგადოებასთან	09.2023	https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid02ebYvhk7mb44at3538ZR6deYyApB81FTFzdo5QTm7chRLuY2uRBJVGNurwqLnwNRrl&id=100006331125285&__cft__[0]=AZWXsZDpjTAjO1Yo1IL4Ar5PuA1Nd2kX7ICYQNbKVg91TSkVo9HJal75ItGuNOzr5vZUZ7XDLbB48g6GtpyioLS4VA5Xag45Rgl_pA--YN8W0fui9BQ9dbLw4G	პროექტის მართვის ჯგუფი	

			v1EAwFuwg&__tn__=%2CP-R		
	აქტივობა 1.3. ,,გაცოხლებული ამბები წარსულიდან“	ოქტომბერ/ ნოემბერი	ფოტო მასალა, პრეზენტაციები	პროექტის მართვის ჯგუფი	
	აქტივობა 1.4. ,,მრავალფეროვნების ზეიმი კულტურული მრავალფეროვნების თემაზე მიმდინარე სასკოლო პროექტის ფარგლებში ჩატარდა ხელოვნებისა და რუსული ენის ინტეგრირებული გაკვეთილი თემაზე : თეატრი, ნიღბების ისტორია , სპექტაკლის მხატვრული გაფორმება და წარდგენა რუსული ხალხური ზღაპრის ,,წერემოკის“ ,	ნოემბერი ივნისი	ფოტო მასალა https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid02P5mRAZ21iH6eDRGKCJ3Ja5rgi7ZRdtHBuXQvzfJA8f8DGh8dPJo4juZsCCYPhezml&id=100006331125285&paipv=0&eav=Afa8Orhzk5LpxTQo1WQnegb8ahKe55HlU9xA7AIBqOF4SnpYYenJvLcWVVBFo2tnFLE&__rdr	პროექტის მართვის ჯგუფი მასწავლებლები ნანა გიორგაძე და მარინა კაპანაძე.	
N2 ამოცანა: სამართლებრივი დოკუმენტების დამუშავება და ანალიზი;	აქტივობა 2.1. სამართლებრივ დოკუმენტებზე მუშაობა;	მთელი წლის მანძილზე	გაკვეთილის გეგმები მოქალაქეობაში	პროექტის მართვის ჯგუფი	
N3 ამოცანა: საკუთარი როლისა და შესაძლებლობების	აქტივობა 3.1. საუბარი სტუმართან /ფსიქოლოგი;	მთელი წის მანძილზე	ფოტო მასალა	პროექტის მართვის ჯგუფი	

გაანალიზება/შეფასება მშვიდობიანი და სამართლიანი სასკოლო და სათემო გარემოს უზრუნველსაყოფად ;	აქტივობა 3.2. კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენა; საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა; ვიეტნამელი ბავშვების გაცნობა	მთელი წლის მანძილზე ოქტომბერი	https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid0375GBPxHGoNR2WobjmAaEwGQq7GdcGp3Jj58LFLPU5V39dwwmK9fTUzHLrGYwN9cSl&id=100007376776869&__cft__[0]=AZU0K1-wkFfQI9yFPtVGhz1JAG5XhA-Ex6vuN_pl1VXQE3QvNub2d3PtXcW4WOIJpxRot3D2L6k_hFkLWj82k5oH4Q0nsQp8qxqQeDsCGBGKAV6NVgmLNKDRUcrpwIMgAISgaV_8gc2B-OJFqcx2wGA_I6T-qQ0B1dx8EUdw0aPY8g_Xwq1tNLELNOKBduMoTXDN-1S6nRoaJbQ2-WAsVcG8pC1DnaI2Uif5A6r6cHA9wA&__tn__=%2CO%2CP-R	პროექტის მართვის ჯგუფი	

			https://www.etaloni.ge/geo/main/index/93639?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTEAAR0276cGw-Mm9HF6MhFezk7O6qQWsc7mGsuBwvbl9PE_oZ81lvKXz0kXeE8_aem_yxf7gE-1gD_iOBb4zbugOw		
	აქტივობა 3.3: ტოლერნატობის საერთაშორისო დღე		https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid024P6L28Gcpnosxu7csirWuHU6LKRnXNHX9bjkWeQ4XB2GrBtYToXqhATA6HNNTY3Zl&id=100006331125285	პროექტის მართვის ჯგუფი	
N4 ამოცანა: სასკოლო და ადგილობრივ თემში მულტიკულტურული გარემოს გასაძლიერებლად საკუთარი როლის განსაზღვრა ;	აქტივობა 4.1. ტოლერანტობა ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში/ პუბლიცისტური წერილების დამუშავება და სარეკომენდაციი ბარათების შექმნა ; სასკოლო პროექტის ფარგლებში ანაბასისის VIII კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია თემაზე „ დავითისეული შემწყნარებლური პოლიტიკა“;	დეკემბერ/ინვარი 30 იანვარი	ფოტო მასალა https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid0bWzVYfU1n41U4kWXL33q7mpb1TQ1WTiiQKSghB6EDnxBJbPkb7rpAz5gnhibpnuVl&id=100006331125285&paipv=0&eav=AfYSwflQyZxzPkRBB6KFvSAmmkAD8OJG65QnUlvChsr7zXQ	პროექტის მართვის ჯგუფი	ინტეგრირებული აქტივობა - ისტორია, ქართული ენა და ლიტერატურა;

			W1JDe6QLNLh8QVYD90KM&_rdr		
	აქტივობა 4.2. სასკოლო აქტივობა - ,,გახდი მოხალისე“ ;	მთელი წლის მანძილზე საქველმოქმედო აციები ; ქართველ და არაქართველი მოქალაეების დახმარება;	https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid02mqgPjzk9zKZj7zuaSiJc6KkqqJ8MzgEw2CCAYdUcJKfPxwfxSgZqgZiXTxtVesfal&id=100006331125285&__cft__[0]=AZVq__irz4SYguEok6BO-9ffQgfH0ldxOMnLJMaj79fVIallqqOutb_AQUcFD8uyyitQTHehnL4ksjlR6CKEo-9Mmw5V_mQCUcW-T2nXguNfbHNYeFfE5RabWrIOazAdbCv8YBsuYqluPb29bY9-ZYUB8exRRZ_DJNTd2oxX4SfFyHhgYh8JoWQt41F2wahz31GK9hJ1A0b40R-r9-3tFp_8&__tn__=%2CO%2CP-R	პროექტის მართვის ჯგუფი	
	სოლიდარობის აქცია ისრაელ-პალესტინის ომის მსხვერლი თანატოლების მიმართ.	ოქტომბერი	https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid02kbPDCJPZ64sMynm9q9tvpTJWDJPU		

			WaSoK7aueE1jBrH9KVBjMTUhwcoTknm66KL7l&id=100006331125285&__cft__[0]=AZUNbDrTc83dbefGlJGR-Mj8h_N5-wQYrT8PkWZ_w8PmmOWsd8XVu6YeVF-		
	აქტივობა 4.3. 3-წუთიანი ვიდეორგოლების ჩაწერა თემაზე „მრავალფეროვნება ჩემს თემში“	მთელი წლის მანძილზე	ონლაინ ჩართვა ოთოს ტურისტულ სააგენტოსთან	პროექტის მართვის ჯგუფი	
	აქტივობა 4.4 გასტრო-ტური/ექსკურსია/უცხოელებთან ინტერვიუ ბაკურიანის საზაფხულო ბანაკში უცხოელ დამსვენებლების გამოკითხვა; " ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა"- ამ დევიზით კულტურული მრავალფეროვნების შესახებ პროექტი "ერთიანობა მრავალფეროვნებაშია" ანაბასისში საინტერესო აქტივობებით მიმდინარეობს. ექსკურსია ბორჯომ-ხარაგაულში.	მთელი წლის მანძილზე დეკემბერი	https://www.etaloni.ge/geo/main/index/98336?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTEAAR3FrdI0OUD8JStz8-lC6GpCAZgjbJwjFnw877Maw-13NP7kiCVMJQTxdlg_aem_V0KWTnbie3biggUKtNl4hg	პროექტის მართვის ჯგუფი	
პროექტის შეჯამება	პრეზენტაცია	ივნისი	https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid02dfGqT21nBvh	პროექტის მართვის ჯგუფი	

			gtM9FHxKux4M7DXCzuWt6A5UNj6nvdZ3TiCCpBBzk27iz57EJiVkhl&id=100006331125285&__cft__[0]=AZVDO2IaefMC8HQ9BY4ibRMIL2mA2Z6XyuhVLGvIBwHSzPa1hcpXkUWoIrSdc-Qrcg92k9JVLkhb91rMGOyMcQCGpvwwSFqMMH_iaZfHP-I6yQKhl-bE7MUpjDSMMNecHctf2QqY7yrBrY3qDcx1uAQq4nUz9UlZ4Cu2N4RnAqUSTg&__tn__=%2CP-R		

ბიუჯეტი

ბიუჯეტის მუხლი	ერთეული	ერთეულის რაოდენობა	ერთეულის ფასი	სკოლის მიერ გაწეული თანადაფინანსება (ლარი)	სხვა წყაროების მიერ გაწეული დაფინანსება (ლარი)
D. მასალების მომზადება					
1. ბუკლეტების დამზადება	ცალი	50	20 თ	10	
2. კედლის გაზეთი	ცალი	5	2ლ	10	
3. პოსტერი	ცალი	1	25ლ	25	
4. სტენდი	ცალი	1	50ლ	50	
5. მოსწავლეთა გადაადგილება					500(მშობლებისგან)
6. სიგელები	ცალი	5	5	25	
ჯამი				**120+500=620**	
საბანკო მომსახურება	თვე				
პროექტის მთლიანი ღირებულება					

მონიტორინგისა და გადახედვის ეტაპზე გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე პროექტის ბიუჯეტის ერთი მუხლიდან შესაძლებელია მეორეში თანხის არაუმეტეს 10%-ის გადატანა ისე, რომ პროექტის მთლიანი ბიუჯეტის თანხა არ შეიცვალოს.

პროექტის ბიუჯეტის მთლიანი თანხის გაზრდის შემთხვევაში ბიუჯეტი საჭიროებს ურთიერთშეთანხმებას.

IX. მოსალოდნელი შედეგები

(როგორია პროექტის მოსალოდნელი შედეგები; რა შეიცვლება და რომელი ჯგუფისთვის? გთხოვთ აღწერეთ შეფასების მეთოდოლოგია, რომლის საშუალებითაც მოხდება პროექტის მოსალოდნელი შედეგების შეფასება.)

A. **რაოდენობრივი** (მოკლევადიანი) პროექტის დაწყებიდან და დასრულების შემდეგ მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები
   სასკოლო საზოგადოების ძირითადი ნაწილი სწორად გააანალიზებს ინფორმაციას კულტურული მრავალფეროვნების შესახებ.

B. **თვისებრივი**
   პროექტის განხორციელება შეამცირებს განსხვავებული ადამიანების მიმართ არაჯანსაღ დამოკიდებულებას.

A. **რაოდენობრივი** (გრძელვადიანი) მოზარდთა 30 % განსაზღვრავს კუტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობის წესის დამკვიდრებას და ჰარმონიული ურთიერთობების დამკვიდრებისთვის წესების დაცვას.
B. **თვისებრივი** - მნიშვნელოვნად გაიზრდება მოსწავლეთა დაინტერესება კულტურული მრავალფეროვნების მიმართ და სამოქალაქო აქტივობებში ჩართულობა.

X. პროექტის მდგრადობა (როგორ წარმოგიდგენიათ პროექტის განვითარება პროექტის დასრულების შემდეგ? რა მექანიზმებით მოხდება პროექტის განხორციელებით მიღებული დადებითი შედეგის/შედეგების შენარჩუნება და გაუმჯობესება).

სასკოლო საზოგადოებას შორის თანამშრომლობა, რაიონის სკოლებს შორის ურთიერთობის ჩამოყალიბება, პოზიტიური განმამტკიცებლები. პროექტის მდგრადობას განაპირობებს სკოლაში ჩამოყალიბებული კლუბები და წრეები და მათ მიერ განხორციელებული აქტივობები. თემთან, ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა.

კითხვარი მასწავლებლებს

1. მიიღეთ თუ არა მონაწილეობა პროექტის მიმდინარეობაში და რა სახით?

2. რა ცოდნა და გამოცდილება მოგცა პროექტმა ?

3. რამდენად საინტერესო ოყო თქვენთვის ამ პროექტში ჩართულობა?

4. ჩამონათვალიდან, რომელ პროექტში გსურთ მონაწილეობა ახალ სასწავლო წელს?

5. რა რეკომენდაციას მისცემდი პროექტის მართვის გუნდს რა იდეას შესთავაზებდი?



კითხვარი მოსწავლეებს

1. რა ინფორმაციას ფლობთ სკოლაში მიმდინარე პროექტის თემატიკის შესახებ?

2. იყავი თუ არა ჩართული მიმდინარე პროექტში და რა სახით?

3. რა ცოდნა და გამოცდილება მიიღე და რაში გამოვიყენებ მას?

4. გსურთ თუ არა ჩაერთოთ მსგავს პროექტში ახალი სასწავლო წლიდან?

5. ჩამოთვლილთაგან რომელ თემაზე გსურს სკოლაში განხორციელედეს პროექტი?

6. პროექტის მინდინარეობისას რა სახით გექნება სურვილი ჩაერთო აქტივობაში.

კითხვარი მშობელს

1. რა ინფორმაციას ფლობთ სკოლაში მიმდინარე სასკოლო პროექტის შესახებ?

2. იყავით თუ არა ჩართული აღნიშნულ პროექტში და რა სახით?

3. ჩამოთვილითაგან რომელ თემაზე განხორციელელებულ პროექტში გსურთ იყოს ჩართული თქვენი შვილი?

4. გსურთ თუ არა მიიღოთ მონაწილეობა სასკოლ პროექტში და რა ფორმით?

5. რა იდეას შესთავაზებდის სკოლას სასკოლო პროექტში მშობლების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად?

დანართი მოსწავლის ნამუშევარი

რწმენისა და თვითგამოხატვის თავისუფლება ,,აბოს წამების" მიხედვით

🗀უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ ადამიანს დაბადებისთანავე ენიჭება უფლება თავისი აზრისა და რწმენის თავისუფლებისა და მისი დაფიქსირებისა. თითოეული ინდივიდი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულია როგორც გარეგნობით, ასევე რწმენითა და შეხედულებებით. ამიტომ, ყველა ადამიანის შეხედულებები და ფასეულობები ვერ დაემთხვევა ერთმანეთისას, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს პრობლემა და განსჯის საგანი. უნდა მივიღოთ ადამიანები ისეთები, როგორებიც არიან.

დღევანდელ სამყაროში არის ადამიანების ორი კატეგორია: პირველი–რომლებსაც შეუძლიათ უპირობოდ მიიღონ განსხავებული და მეორენი–რომლებსაც არ შეუძლიათ განსხვავებულის მიღება. საბედნიეროდ, დღესდღეობით პირველი კატეგორიის ხალხი უფრო ბევრია, ვიდრე მეორე რაც დღევანდელ სამყაროში ცხოვრებას ასე თუ ისე ასატანს ხდის. უძველეს წარსულში, მხოლოდ მეორე კატეგორიის ხალხი იყო, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ გამუდმებით ომები იყო სახელმწიფოებსა და ქვეყნებს შორის, ტომებსა და თემებს შორის. მოგვიანებით, კი როდესაც განსხვავებული რელიგიები ჩამოყალიბდა, დაიწყო სარწმუნოებებს შორის გამუდმებული ჭიდილი, ეს პრობლემაც უფრო ვრცლად წარმოჩინდა. თითოეული რელიგია ცდილობდა სამართავი სადავე ხელში ჰქონოდათ, რაც მუდმივ ომიანობას, მტრობას და ქიშპობას იწვევდა.

ყველა ნაწარმოები თავისი დროის ნაყოფია და შესაბამისად, იმდროინდელი რწმენისა და მსოფლმხედველობის გათვალისწინების გარეშე მისი სრულყოფილი გაგება შეუძლებელია. განსაკუთრებით კი ამის თქმა ჰაგიოგრაფიაზე შეგვიძლია. ამ ყოველივეს დასამტკიცებლად შეგვიძლია მაგალითად მოვიყვანოთ იოანე საბანისძის უკვდავი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტ☠ისა ჰაბოჲსი.“ საოცარ პარადოქსად შეგვიძლია მივიჩნიოთ აბოს პერსონაჟი, რადგან ერთდროულად იგი წმინდანიც არის და მოღალატეც. წმინდანი ქრისტიანებისათვის, ხოლო მუსლიმანებისათვის მოღალატე. აბოს ყოველთვის განიხილავენ, როგორც წმინდანს ან კიდევ, როგორც მოღალატეს, მაგრამ მესამე შესაძლებლობას არავინ უშვებს. ეს არის ის, რომ მან აზრისა და რწმენის თავისუფლება აირჩია. საკუთარი აზრი ძალიან დიდ, გავლენიან და საშიშ ხალხში დააფიქსირა, რამაც იგი სიკვდილით დასჯის გზაზე დააყენა და ასეც მოხდა. იგი არ მიჰყვა თავის ბედისწერას არამედ, მან თვითონ შექმნა საკუთარი ბედი. მან აირჩია საკუთარი ჭეშმარიტება, რის გამო სიკვდილსაც კი არ შეუშინდა. აბოს ღრმად სჯეროდა საკუთარი თავის და არჩევანის თავისუფლებისა, მაგრამ იმ პერიოდში არჩევანის საშუალება საერთოდ არ იყო, უნდა გერწმუნა ის, რაზეც გეტყოდნენ, რომ კარგია. არჩევანის თავისუფლებაზე როდია საუბარი, როდესაც საკუთარი აზრის ქონაც კი ისჯებოდა. აბო ამ ყოველივეს არ შეუშინდა და შესწირა თავი საკუთარი აზრისა და რელიგიის თავისუფლებას. პირადად ჩემთვის, აბო არის იმის მაგალითი, რომ ყოველითვს

მქონდეს საკუთარი აზრი მაშინაც კი, როდესაც სიკვდილი გარდაუვალია. ასევე თავისუფლების მაგალითიცაა, რადგან მაშინ როდესაც იგი ყოველი მხრივ რკინებით და ბორკილებით ასხმული იყო, მაგ დროს, მასზე თავისუფალი არავინ არ ყოფილა, თუნდაც ის გმირები, რომლებმაც იგი სიკვდილის გზაზე დააყენეს. დოსტოევსკმა თქვა: “საკუთარი გზით არასწორად სიარული სჯობს, სხვისი გზით სწორად სიარულს-ო.“

ამგვარად, ჩემი აზრი ასეთია ამ საკითხზე, რომ ადამიანი არ უნდა განისჯებოდეს მისი განსხვავებული შეხედულებების მიხედვით. ჩვენ ბავშვობიდან გვინერგავდნენ, რომ განათლების გარეშე არავინ ვართ, მაგრამ უფრო უკეთესი იქნებოდა ჩაენერგათ, რომ საკუთარი აზრის გამოხატვის გარეშე არავინ და არაფერი ვართ!

ამრიგად, მე არ ვაკრიტიკებ აბოს იმის გამო, რომ მან სარწმუნოება შეიცვალა და საკუთარი ჭეშმარიტება იპოვა. მართალია, თავდაპირველად აბოს პერსონაჟი არ მომწონდა, რომ მისი რელიგია არაფრად ჩააგდო, მაგრამ დროთა განმავლობაში რეალურად და ობიექტურად, რომ შევხედე ამ ყოველივეს მივხვდი, რომ აბო სიტყვის და რწმენისათვის მებრძოლ, სტერეოტიპებისმსხვრეველ ადამიანად – თავისუფლების ქანდაკებად მევლინება.

X კლასი